572
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოჯინებო, თოჯინებო,
თქვენთვის ალარ მცალია...
ზარი მიხმობს, სკოლისაკენ
მეჩქარება ძალიან.

1965 სექტემბერი
№9

სკოლისაკენ

იროდიონ ევდოშვილი

ნახატი ჯემალ ლოლუასი

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, ბიჭო, ტანთ ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი,
აბა, მარდად ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

— ეს არის მესკია, ეს სკვინჩა, ეს კი ბოლოქანქალა!—ამბობდა მასწავლებელი და სხვადასხვა ფერის ცარცით დაფაზე ლამაზ ბუმბულიან ჩიტებს ხატავდა.

ზარი დაირეკა.

— ბაია,—თქვა მასწავლებელმა,—დღეს შენ იქნები მორიგე,—გააღე ფანჯრები, მერე აიღე ჩვარი და ააფრინე ეს ჩიტები დაფიდან!

მასწავლებელმა ბაიას გაუღიმა და გარეთ გავიდა.

საკლასო ოთახში მარტო ბაია დარჩა. მან გააღო ფანჯრები, მერე დაფას მიუახლოვდა, რომელზეც ლამაზბუმბულიანი ჩიტები ისხდნენ. ცოცხალი, სულ ნამდვილი ჩიტები იყვნენ, მხოლოდ არ ჭიკჭიკებდნენ.

— ფრრრ!—აუქნია ხელები ბაიამ.

ჩიტებს არ შეშინებიათ, დაფაზე ისხდნენ და გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ბაიას.

— ფრრრ!—უფრო ხმამაღლა შეუძახა ბაიამ.

ჩიტებს ფრთებიც არ შეუფართხუნებიათ. „სულ დამაყიწუდა,“—გაიფიქრა ბაიამ. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიუახლოვდა დაფას და ჩვარი სწრაფად დააფარა მესკიას, მერე სკვინჩას, მერე მერცხალს, თოხიტარას, ბეღურას. ბოლოს დაფაზე აღარც ერთი ჩიტი აღარ დარჩა, ახლა უკელანი ჩვარში ჰყავდა დამწყვდეული ბაიამ. მან ფანჯარასთან მიირბინა, ფესისწვერებზე აიწია და ჩვარი დაფერთხა, გამოფრინდნენ ჩვრიდან ჩიტები, კამარა ჰკრეს და ცაში აიჭრნენ. ზოგი ხის ტოტზე შემოჯდა, ზოგი ელექტრომავთულზე შესკუბდა, უმრავლესობა კი ჰაერში დანაკარდობდა, კოდო-ბუზებს დასდევდა, ხანდასან რომელიმე ჩიტი საკლასო ოთახის ფანჯარასთანაც ჩაიქროლებდა და რაღაცას ჩაუჭიკჭიკებდა ბაიას.

ბ. ბერძენიშვილის სახ. სამ. საბ. ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
9250

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაცნობა

ოლეგ ბუცენი

ქეთინოს მშობლებმა ქალაქის ახალ რაიონში მიიღეს ბინა. ქეთინოც ახალ სკოლაში გადაიყვანეს. პირველ სექტემბერს გოგონამ ახალაგებული სკოლის კარი შეაღო. კედლებზე ალაგ-ალაგ კიდევ შემორჩენილიყო წარწერა: „ფრთხილად, შეღებილია!“

ქეთინოს ახალ სკოლაში ყველა უცნობი ბავშვი დახვდა. პირველი ორი გაკვეთილი და შესვენება არავის გამოლაპარაკებია. მაგრამ დადგა დიდი შესვენება და მასთან ერთი თეთრბაფთიანი გოგონა მივიდა:

— მე თამრიკო მქვია,—უთხრა მან.

— მე—ქეთევანი.

ცოტა მოშორებით მათი თანაკლასელები შეკრებილიყვნენ და მხიარულ ამბავს ჰყვებოდნენ, იცინოდნენ.

— ქეთინო, მოგწონს ჩვენთან?—კვლავ ჰკითხა თეთრბაფთიანმა გოგონამ.

— მომწონს.

— ჰო, ჩვენი სკოლა კარგია, მაგრამ აი, ბავშვები კი...

— რა ბავშვები?—გაკვირვებით იკითხა ქეთინომ.

— რა და, ვისთან უნდა იმეგობრო? მზია მეტიჩარაა, ლევანი მაჩხუბარა, დარეჯანი ცრუპენტელა...

თამრიკომ თითქმის ყველა თანაკლასელს რაღაც ნაკლი მოუძებნა, მხოლოდ თავის თავზე არაფერი უთქვამს.

— ჰოდა, ასეთ ბავშვებთან განა შეიძლება მეგობრობა?—კვლავ შეეკითხა იგი.

— შენ რომ გკითხონ, არ შეიძლება!—უპასუხა ქეთინომ, თამრიკოს ზურგი შეაქცია და თანაკლასელებს შეუერთდა.

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგი გოგონა

მზია, როგორც ყოველთვის, ახლაც სუფთად ჩაცმული დედას სკოლისაკენ მიჰყვებოდა. უკან მისივე სკოლის მოსწავლეები ოთარი და გია მოდიოდნენ.

— ნახე, მზია, რა კარგი გოგოა, — ეუბნება ოთარი გიას.

მზიას სიამოვნებისაგან სახე გაებადრა, თან დედას სახელო ჩამოუწია, აქაო და ყურადღებით იყავიო.

— რა იცი, რომ კარგი გოგოა? — შეეკითხა გია მეგობარს.

— როგორ თუ რა ვიცი, ნახე რა სუფთად აცვია.

— ეეეჰ, ეგ რა სუფთად ჩაცმაა, თუკი ყველაფერს დედა გაგიმზადებს, — უპასუხა გიამ

— მზია, შენ მგონი რაღაც უნდა გეთქვა ჩემთვის, არა? — შეეკითხა დედა გოგონას.

— ისეთი არაფერი, დედიკო. მე მინდოდა მეთხოვა, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავით, — უპასუხა დარცხვენილმა მზიამ.

გადმოაქართულა
გივი კახიანმა

ვაშლი და ქარი

აკაკი წერეთელი

მაღლა ფოთლებში ელვარებს
ვაშლი სისხლივით წითელი,
მას აქეთ-იქით აქანებს
სიო საამო და ნელი.

დიდი ხანია შესცქერის
მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა,
ოჰ, ნეტავ ერთი მოსწყდესო,
ამბობს თვის გულში პატარა.

თითქო უსმინა ქარმაო,
ხე შეარხია გრიალით,
ყუნწში მოსწყვიტა ნაყოფი
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

ყმაწვილმა ხელი დასტაცა
ქარს მადლი უძღვნა გულითა
და შინისაკენ მოკურცხლა
აღვსილმა სიხარულითა.

ნახატი რევაზ სუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მეგობრებო!

გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ყმაწვილების გულის მესაიდუმლე, მეგობარი და აღმზრდელი იოსებ გრიშაშვილი.

მისი თაფლივით ტკბილი და ჰაეროვანი პოეზია აფაქიზებდა თქვენს სულს. ნახევარ საუკუნეზე მეტი იგი თქვენ გემსახურებოდათ; გიწერდათ საინტერესო წიგნებს, ლექსებსა და ზღაპრებს.

სოსო გრიშაშვილი თქვენი დიდი მოამაგე და საყვარელი პოეტი წლების მანძილზე ჟურნალ „დილას“ კოლეგიის წევრი გახლდათ, დილასავით გიღიმოდათ თქვენ, ჩვენო პატარა მკითხველებო, მისი ნაზი და პატრიოტული პოეზია.

დაე, პატარებს გიყვარდეთ შრომა, სწავლა, წიგნი, მშობლიური „დედა ენა“ იმ დიდი უსაზღვრო სიყვარულით, როგორც ჩვენს სახალხო მგოსანს უყვარდა.

პატარა ოსტატები

ი. გრიშაშვილი

ფიდომ უთხრა თავის დასა:
„ჩემო დაო, ჩემო ქეთო,
მე მინდა, რომ მავთულისაგან
ტელეფონი გავაკეთო.

მე კოლოფებს დავამზადებ,
შენ მოსთხოვე დედას მავთი,
და გვექნება საუბარი
უფრო კარგი, უფრო სწრაფი“.

დაფაცურდნენ ოსტატები,
კოლოფს მავთი გამოაბეს
და აწვდიან ერთმანეთსა
ჩვენი სკოლის ახალ ამბებს.

ნახატი ვაქა მელიქიშვილისა

ბაკალეიჩნეგა

აკაკი ჯორჯაძე ნახატები თენგიზ სამსონაძისა

— გეყოფა თამაში, გაკვეთილები მოამზადე!—გაუჯავრდა დედა პატარა გიას.

გიას ძალიან უყვარს ეზოში თანატოლ ბიჭებთან თამაში. გაკვეთილების მომზადება კი, ცოტა არ იყოს, ეზარება.

«რა ცუდია, როცა სათამაშოდ არ გიშვებენ,» გაიფიქრა ბიჭმა, ტახტზე მიყრილ თავის სათამაშოებსა და წიგნებს მიუწვა და ჩაეძინა.

ცოტა ხნის შემდეგ ესიზმრა, ვითომ თავისი სათამაშო თვითმფრინავი ნამდვილი, ფოლადის ფრთებიანი თვითმფრინავი იყო, ჩაჯდა გია და ერიჰა!—აფრინდა ბიჭი ჰაერში. ბევრი იფრინეს, ბოლოს ერთ ადგილას შეჩერდნენ. გიამ თვითმფრინავიდან გადმოიხედა.

ირგვლივ სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმულიყო ქარხნები, საამქროები, მოედნები. ერთ დიდ დაზგასთან დაეშვნენ. გიამ კარგად დაინახა, რომ დაზგა თავისით მიდის წინ, უკან, მაღლა და დაბლა, ტრიალებს... გავარვარებული რკინა სადღაც მიაქვს და აწვრილებს, შემდეგ ჭრის, გლინავს. მზა მასალას თავის ადგილას აწყობს.

— მეც მინდა თქვენთან,—გადმოსძახა აღფრთოვანებულმა გიამ დაზგას, მაგრამ რომელიღაც ავტომატმა წითელი ნათურები აანთო და ალაპარაკდა:

— შენ ჯერ პატარა ხარ, არ იცი, როგორ უნდა მოგვმართო, აგვაწყო, ან გამოგვიგონო. წადი, ჯერ ისწავლე და შემდეგ ვნახოთ...

თვითმფრინავმა გზა განაგრძო.

— ზღვა!—შესძახა გიამ და სიხარულით ტაში შემოჰკრა.

თვითმფრინავი ძირს დაეშვა. გიას ძალიან შერცხვა, როცა ზღვის ნაცვლად პურის ყანა დაუხვდა.

ირგვლივ კომბაინები ტრიალებდნენ.

— აუუ, რამდენი ხორბალია? დამტოვეთ აქ, თქვენთან ერთად ვიქნები!—სთხოვა გიამ კომბაინერს.

—ჯერ ისწავლე, როგორ მოჰყავთ თავთავი და მერე ვნახოთ!—უპასუხა კომბაინერმა.

— მართლაც კარგი ყოფილა ზღვა, რამდენი თევზია?!—მოეწონა გიას და დარჩენა ისურვა, მაგრამ ზღვა აღელდა, ტალღა შეათამაშა და გიას ყურთან გაუტლაშუნა:

— ჩვენ ზარმაცები არ გვიყვარს, ჯერ ისწავლე და შემდეგ ვნახოთ.,,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიას უკვირდა, რომ ყველა ერთი და იგივეს ეუბნებოდა, ცოტა ბრაზობდა კიდეც, მაგრამ რას იზამდა?

თვითმფრინავი ახლა ნამდვილ ზღვასთან მიფრინდა. დიდი გემები თევზს იჭერდნენ. უშველებელ ბადეებში მოუსვენრად ხტოდნენ თევზები. მოსალამოვდა. გია თვითმფრინავმა შინისაკენ წამოიყვანა. ოთახში შეფრინდა და იატაკზე დაეშვა. თაროებზე წიგნები თითქოს გაცოცხლდნენო, ამოძრავდნენ, გადმოხტნენ და ჩაფიქრებულ გიას წინ გადაიშალნენ.

წვიმა, გუბე და მთვარე

ჯანსუღ ჩარკვიანი

ხეებში ქარი უბერავს,
ქარი უბერავს სარკმელს.
სარკეში მოჩანს ღრუბელი,
გუბეც დიდი სარკე...

ღრუბელი აჩენს წვიმას
და წვიმა აჩენს გუბეს,
ზის ფანჯარასთან ცირა,
ხატავს გუბეს და ღრუბელს.

გუბეში მოჩანს მთვარეც,
მთვარეც დაკსატლ ბზრემ,
მაგრამ რა ვუყო ქარებს,
ახლოს ვერ გავეკარე.

დაუკაკუნებს კარებს,
მერე ფრთებს აუჩქარებს...
და მარტო რჩება გარეთ—
წვიმა, გუბე და მთვარე.

— ეგ რაა, ცრუპენტელა დათუავ, ისეთ ზღაპარს მოგიყვები, ჩვენს მამას ქოსტუაილასაც კი გაუკვირდებო! — მიუგო პეტრიკელამ.

ქოსტუაილა ხის ძირას ჭილობზე კოტრიალობდა. დათუა-ცრუპენტელა კი შიშველი ფეხით ფეხს იფხანდა, ხოლო პეტრიკელა-ცრუპენტელამ მოხსნა გუდას პირი და დაიწყო:

ზარმაცი თაგუნას ამბავი

ნახატები **მერაბის მირზაშვილისა**

გათენდა.

თაგუნამ გაიღვიძა, გაიზმორა და დაიწყო ოცნება:

— ახლა ავდგები, ხელ-პირს დავიბან, ვიესაუზმებ და სანადიროდ მოვემზადები...

თაგუნა მეორე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— სანადიროდ მოვემზადები, ხვრელიდან თავს ამოვყოფ და მივიხედ-მოვიხედავ...

თაგუნა მესამე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— მივიხედ-მოვიხედავ, ხვრელიდან გამოვალ და პირდაპირ და უშიშრად გავწევ საკუჭნაოსაკენ.

თაგუნა მეოთხე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

—გავწევ საკუჭნაოსაკენ და ხაფანგს დავინახავ.

თაგუნა მეხუთე გვერდზე გადაბრუნდა და...

ხაფანგმა ჩვენი თაგუნა ცოტა ჩააფიქრა. სანამ თაგუნა ფიქრობს, მანამდე ჩვენც ჩავფიქრდეთ, დათუა!

— რატომ აქვს თაგუნას ამდენი გვერდები?

— იმიტომ, რომ ზარმაცია. რაც უფრო ზარმაცია, თაგვი იქნება ეს თუ კატა, კატა იქნება ეს თუ ძაღლი, მით უფრო მეტი გვერდები ექნება მას, რათა ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდეს, მეორიდან მესამეზე და ასე შემდეგ. მაგალითად, ერთ ზარმაც ბიჭუნას იმდენი გვერდები ჰქონდა, რომ ასი წელიწადი ითვლის და აქამდე ვერ დაუთვლია...

— თაგუნას რომელ გვერდზე შეეჩერდით?—ეკითხა პეტრიკელამ დათუას.

— მეხუთეზე,—მიუგო დათუამ.

— კეთილი,—განაგრძო პეტრიკელამ.

თაგუნა მეხუთე გვერდზე გადაბრუნდა და განაგრძო ოცნება:

— დავინახავ ხაფანგს და შიგ ხორცის ნაჭერს. ისე ავუელი გვერდს, რომ ხაფანგმა ვერაფერი გაიგოს. როცა გაიგებს, უკვე გვიან იქნება. გვიან როცა იქნება, ხაფანგი გაბრაზდება. ხაფანგი როცა გაბრაზდება, მე უკვე შორს ვიქნები, ხაფანგს აღარავინ აღარ ეყოლება დასაჭერი. როცა ხაფანგს აღარავინ აღარ ეყოლება დასაჭერი, თავის თავს თვითონ დაიჭერს...

— ხა! ხა! ხა!—გადაიხარხარა დათუამ. პეტრიკელამ განაგრძო:

თაგუნა ისე გაერთო ოცნებით, რომ მეხუთე გვერდიდან პირდაპირ მეშვიდე გვერდზე გადაბრუნდა. მეექვსე გვერდი გამორჩა.

—ხაფანგი როცა თავის თავს დაიჭერს, ხმაურზე კატას გამოეღვიძება...

კატის ხსენებაზე თაგუნას ისე შეეშინდა, რომ მეშვიდე გვერდიდან უკან, მეხუთე გვერდზე გადმობრუნდა. მეექვსე გვერდი ახლაც გამორჩა.

დიდხანს ცდილობდა თაგუნა დამშვიდებას და ბოლოს, როგორც იქნა, დაიმშვიდა თავი:

— არ გაიღვიძებს! ჩემმა მამაცმა მეზობელმა წრუწუნამ მითხრა: კატებს ზოგჯერ ძილი უფრო უყვართ, ვიდრე გამოღვიძება. რომ გაიღვიძოს, მაშინ რაღა ოცნება გამოვა?!

კიდევ ერთხელ გაიღვიძა თაგუნამ და გაიფიქრა: — დღე გამომრჩაო და კვლავ დაიძინა.

გვიან მიხვდა ზარმაცი თაგუნა, რომ ღამე კი არ არის ასეთი შავი და ბნელი, არამედ ვიღაცამ ამოაყოო მისი ხვრელი.

ახლა მეც არ ვიცი, სძინავს თუ არა თაგუნას.

ქოსტუაილა უკვე მაგრად ხვრინავდა. დათუა-ცრუპენტელას ძალიან მოეწონა ზარმაცი თაგვის ზღაპარი. კმაყოფილმა და ძილმორეულმა პეტრიკელას უთხრა:

— ეჰ, ჩემო პეტრიკელა, მართლაც რომ შვიდი გვერდი მჭონდეს, რა კარგი იქნებოდა, რას ვიკოტრიალებდი! ახლა დავიძინოთ და შემდეგისთვის ერთი კარგი უკადრსნური ზღაპარი ჩემზე იფიქრო.

ზღაპარი „ზარმაცი თაგუნას ამბავი“
გუოუნის **ეკლრმ ანელეზეისგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედო-ფალა

ოთარ ჩიხლაძე   ნამდვილი ამბავი   ნახატები ზურაბ ქაპანაძისა

პატარა გვინეელი გოგონა კიტი სათამაშოების მაღაზიის ვიტრინასთან მთელი საათობით იდგა ხოლმე და თეთრბაბთიან დედოფალას ნაღვლიანად შესცქეროდა.

კიტიმ დედოფალას სახელიც კი ამოურჩია, თავისი პაწია დაიკოს სახელი ნალუ დაარქვა. ერთი წლის წინ ნალუ ტროპიკული ავადმყოფობით გარდაიცვალა. როგორ ჰგავდა დედოფალა მის დაიკოს! ამიტომაც შეუყვარდა იგი.

ერთხელ დილით კიტი ჩვეულებრივად ადრე წამოხტა ლოგინიდან, ხელ-პირი დაიბანა და პურის მოსატანად წავიდა.

უცებ საცეკვაო მელოდია შემოესმა. როგორც ყველა გვინეელ გოგონას, კიტისაც უყვარდა ცეკვა. იგი ყოველ საღამოს თავისი სახლის წინ ცეკვავდა და გამვლელების ქებასაც იმსახურებდა.

და აი, ახლა კიტის წუთიც არ დაუყოვნებია, ისე ლამაზად დაიწყო ცეკვა, რომ მის გარშემო ხალხი შეგროვდა. კიტის უცებ პური მოაგონდა. მამას სამუშაოდ ეჩქარებოდა და საუზმეზე კიტის ელოდა. გოგონა უმალ გაჩნდა ქუჩაში პურით გაწყობილ მაგიდასთან. ფული ნოქარს გაუწოდა და ის იყო, პური უნდა აეღო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო.

— რა გქვია, გოგონა? — ჰკითხა უცნობმა, — შენ ძალიან ლამაზად ცეკვავ, საღამოს ბალში გამოიარე — ,,ელდორადოში'', იცეკვე. და ფულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მოგცემ. უსათუოდ მოდი, მუსიე ბარი იკითხე. დაგელოდები.

კიტიმ დაავლო პურს ხელი და შინისაკენ მოკურცხლა.

გოგონამ ბებიასთან მიირბინა. ბებია ფატუმ გულდასმით მოუსმინა კიტის და უთხრა:

— განგებას გადმოუხედავს შენთვის, შვილო, მუსიე ბარი ძალზე მდიდარი კაცია. საცეკვაო ბაღი „ელდორადო" მისი საკუთრებაა. წადი, იცეკვე, მაყურებლები დაგასაჩუქრებენ, ოღონდ ნაშოვარი ფული მუსიე ბარის უნდა ჩააბარო. ის თვითონ მოგცემს რამდენიც გეკუთვნის.

კიტი მზად იყო მთელი საღამო ეცეკვა, ოღონდ საოცნებო დედოფალას საყიდელი ფული ეშოვა.

საღამოს კიტი უკვე „ელდორადოსთან" იყო ატუზული, გაოცებული ათვალიერებდა მდიდრულად ჩაცმულ ქალებსა და კაცებს.

მალე მუსიე ბარიც გამოჩნდა. ბაღის შუაგულიდან საცეკვაო მელოდიები მოისმოდა. კიტი საცეკვაო მოედანზე გამოვიდა. უნებლიედ აცეკვდნენ ფეხები. ხანგამოშვებით ტაშის გრიალი და აღტაცებული შეძახილები ფარავდა მუსიკას.

დიდხანს ცეკვავდა. მაყურებლებმა ხელში აიტაცეს გოგონა. კიტიმ შენიშნა, რომ მუსიე ბარი დიდად კმაყოფილი იყო. კიტი სწრაფად დაუსხლტა ხალხს ხელიდან და მისკენ გაეშურა, კაბინეტში შევიდნენ. ამდენი ფული კიტის არასოდეს უნახავს. გოგონას ცოტა, ძალიან ცოტა უნდა, რომ საოცნებო დედოფალა იყიდოს.

კიტი უძრავად უცქეროდა მუსიე ბარის ჯიბეებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით ნთქავდნენ ფულებს.

„ნუთუ მთელ ფულს წაიღებს?— გაიფიქრა კიტიმ. მაგრამ არა, კიტიმ შვებით ამოისუნთქა. მუსიე ბარიმ გოგონას მცირე გასამრჯელო მისცა. კიტიმ ფული ჩაბღუჯა და გახარებული გამოვარდა ქუჩაში. გოგონა ფულს მაგრად იკრავდა გულში და შინისაკენ შურდულივით მიჰქროდა.

—ოჰ, ნეტავი ჩქარა გათენდეს,—ჩურჩულებდა გოგონა,— ხვალ დედოფალას ვიყიდი!

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

კენგურუ

გივი ჭიჭინაძე

—სკოლისაკენ, სკოლისაკენ
ყველა იქით ისწრაფვის:
ციყვი, დათვი, მელაკუდა,
ირემი თუ ჟირაფი.

ჰოდა, დედა კენგურუმაც
უთხრა თავის ვაჟიშვილს:
— არც ჩვენ გვაწყენს, ჩემო კარგო,
წერა-კითხვა, ვარჯიში.

ამისთანა ჩანთის პატრონს
სწავლაში ხელს რა გვიშლის?!

ფოტო-გრაფი

თინათინ კვირიკაძე

ნუკრი, შენ და ზაზა
ამ დიდ ხეზე ადით,
სურათს გადაგიღებთ
ფოტოაპარატით.
ზაზას ხეზე ასვლა
თუ არ უნდა,—მაშინ
აგერ ჩავსვათ ახალ,
ცისფერ მანქანაში.
შენ კი, ცხენზე შეჯექ,
მოგიხდება სწორედ!
ხელი ზემოთ ასწი,
თავი გაასწორე.
აპარატში ახლა
ყველა სახე მოჩანს.
აბა, გაიცინეთ,
ერთი «წკაპ» და—მორჩა!

ფურცელო გადაშლილო, გვაჩვენე ლომი ან სპილო

ვლადიმერ მაიაკოვსკი





(იბეჭდება შემოკლებით)

ეს ფურცელი, ნეტავი,
რატომ მოგიკეციათ?!
გადაშალეთ,
ამ წიგნში
ბევრნაირი მხეცია.
ლომი ჩვენ შემოგვყურებს,
თათი ძაღზე მწარე აქვს!
მხეცთა მეფე არ გახლავთ
ლომი—
თავმჯდომარეა.
ეს მხეცუნა ლამაა—
აქ შვილი
და მამაა.
ასეთ გრძელნისკარტიანს
განა ტოლი ჰყოლია...
ვხედავთ კიკნა პელიკანს
და პელიკანს—გოლიათს.
ზებრას ტანზე ზოლები
მუქიც არის, მზიანიც;
თითქოს იყოს ლეიბი
ჭრელ-ჭრელ ზოლებიანი.
წიგნმა თავის ფურცელზე
სპილო გამოატარა,
ლედა სპილოს თან მოსდევს
მისი შვილი პატარა.
სპილო სახლზე დიდია,
ცხვირად კუდი ჰკიდია.
ბევრი მხეცი მოვიდა,
მათ ძღივს იტევს ფურცელი.
აბა, მიუალერსეთ,
გზა მიეცით სულ ვრცელი.
ნიანგს თუმცა არ შია,
მაინც გულმოსულია.
ახლა იგი წყალშია
და არ მოჩანს სრულიად.
როცა შრომობს აქლემი,
მისთვის არის კარგი ღლე,—
იგი მგზავრსაც წაიყვანს,
იგი ტვირთსაც წაგიღებთ.
კენგურუ გახლეებით
დახტის-მოკლე ხელებით,
გრძელკისერა ჟირაფმა
თავი რით ისახელოს,
ანდა როგორ მოირგოს
გრძელ კისერზე საყელო?!
მაიმუნი, თქვენც იცით,
სასაცილო რამ არი,
კუდი წელზე მოირტყა,
კუდია თუ ქამარი!
ვერ დაგშორდით ყველა მხეცს
ვიდრე არ გაგიცნობდით.
წასვლის დროა, წავალ მეც.
მხეცუნებო, მშვიდობით!

თარგმანი **ვახილ ლაფერაშვილისა**

დედაქალაქი

გაბრიელ ჟანგურია

ნახატი რევაზ წუწქირიძისა

თქვა ბაბამ: „იყოს ქალაქი!“
და აღმოცენდა ქალაქი.
ფართო ქუჩებმა დასერა
სოფლის მდელო და ბაღახი.

თურმე არც ცოტნეს ჰქონია
ნაკლები ნიჭი მშენებლის,
მოზიდეს ქვიშა, ცემენტი,
დაცვივდა ბურბუშელები.

აგურზე დადეს აგური,
ფიცარზე დადეს ფიცარი,
რა ქალაქია, რომელი,
მოდით და აბა იცანით!

ფუნიკულორიც ააგეს—
ლამაზი გადასახედი,
მერე ერთმანეთს გასძახეს:
— მოდი, დავარქვათ სახელი!

თქვეს და მონათლეს ქალაქი,
სავსე მზითა და ბარაქით:
დედიკოს სიყვარულისთვის
უწოდეს დედაქალაქი.

ევა გიგინეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბა, სწავლე!

სათავე

აიღეთ ნაჭერი, გადაზომეთ თოჯინის წელიდან ფეხის ტერფამდე და გადაჭერით. შემდეგ აუსხით ნაოჭი, დააკერეთ ზედ იმავე ნაჭრის სათავე, როგორც ეს (1) სურათზეა დახატული. ეს იქნება კაბის ქვედატანი. ახლა ზედატანის გამოჭრას შეუდექით. (2) სურათის მიხედვით გადაჭერით ზედატანი, გადაკეცეთ შუაზე, თოჯინას ჩააცვით და სახელოები და გვერდები გაუკერეთ. შემდეგ კაბის ქვედატანი თოჯინას შემოახვიეთ და სათავით დაუმაგრეთ. ახლა ღია ფერის ქამარი, გულისპირი და ორი ვიწრო წინსაფარი გამოჭერით (ნახ. 3) და კაბაზე მიაკერეთ, ქართული კაბისათვის ლეჩაქი აუცილებელია. ამიტომ ლეჩაქიც გამოჭერით (ნახ. 4) თოჯინას თავზე ქინძისთავით დაუმაგრეთ და კაბაც მზად იქნება.

ნახ. 1. ქვედატანი



ნახ. 3. ქამარი



ნახ. 2. ზედატანი



ნახ. 4. ლეჩაქი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბეჰემოთის სტუმრობა—ნუ გგონია ხუმრობა!



ალეიძა, ალეიძა ვერ გააღვიძა და ძმის ნაცვლად სკოლაში თვითონ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ედ. ამბოკაძისა

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი. სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, პ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყ. მრევლიშვილი. ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულეისკირი, (რედაქტორის მოადგილე), რ. ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. ფორჩხიძეს ტექრედაქტორი გ. რონიშვილი

გამოცემის ოცდამეთვრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული", გამომც. შეკვ. № 516, სტამბის შეკვ. № 2082, ტირაჟი 40.000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII 1965 წ.

ჟურნალი დაიბეჭდილია პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", ლენინის ქ. № 14 „ДИЛА" на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ ... სახელმწიფო ბიბლიოთეკა

6. 9/228

ИНДЕКС
76055

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ნახატი მანანა მალაზონიასა, 3 წ. თბილისი.

2. ნახატი ნინო ჯიშკარიანისა, 4 წ. თბილისი.

3. ნახატი თამრიკო კუპრაშვილისა, 7 წ. თბილისი.

4. ნახატი ნანა კენჭაძისა, 5 წ. თბილისი.

5. ნახატი ხოხიკო წერეთლისა, 6 წ. თბილისი.

6. ნახატი თამაზ ჯაფარიძისა, 8 წ. ონი.

1

2

3

4

5

6